



საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 198

2016 წელი 24 ნომბერი ქ. ბათუმი

2016 წლის მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის  
ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N2438 განკარგულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად:

1. 2016 წლის მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გამოყოფილი 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი, გამოეყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - აგროსერვის ცენტრს (შემდგომში - ცენტრი).

2. ცენტრმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ არასტანდარტული ციტრუსის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც სამრეწველო გადამუშავების მიზნით, ფიზიკური პირებისაგან 1 კგ არასტანდარტულ მანდარინს შეისყიდიან არანაკლებ 0.20 ლარად, გასცეს სუბსიდია 1 კგ არასტანდარტულ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობით.

3. ცენტრმა, 2016 წლის არასტანდარტული მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის შექმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამეწარმეო

(არაკომერციულ) იურიდიულ პირს - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიღების მიზნით, კანდიდატურების ცენტრისათვის წარდგენა.

5. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობისას, არასტანდარტული მანდარინის ჩაბარების კონტროლის, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

6. ცენტრმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ არასტანდარტული ციტრუსის გადამამუშავებელ კომპანიებზე, სუბსიდიის თანხა გასცეს უნაღდო ანგარიშსწორებით, ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი უფლებამოსილი პირების (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ცენტრი/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჩამბარებელი პირი და არასტანდარტული ციტრუსის გადამამუშავებელი კომპანია. საჭიროების შემთხვევაში, ასევე „სხვა პირები“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილების შემთხვევაში) მიერ არასტანდარტული მანდარინის შესყიდვის თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ცენტრისათვის წარდგენის საფუძველზე.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (რ. ბოლქვაძე) უზრუნველყოს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება.

8. განკარგულების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (ლ. კომახიძე).

9. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე



ზურაბ პატარაძე